

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	14
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	27
5. რისკების მართვა	28
6. სადაზღვევო ამონაგები	36
7. სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	36
8. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი.....	36
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	37
10. ფინანსური ხარჯი, წმინდა	37
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	37
12. საბანკო დეპოზიტები	38
13. გაცემული სესხები	38
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	38
15. არამატერიალური აქტივები.....	39
16. მარაგები.....	39
17. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	40
18. საინვესტიციო ქონება	41
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41
20. სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	42
21. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები.....	43
22. მიღებული სესხები	44
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	45
24. პირობითი ვალდებულებები	46
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	47
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეო ინვესტმენტის“ დამფუძნებლებს და დირექტორთა საბჭოს

აუდიტორის მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯეო ინვესტმენტის“ (შემდეგში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფმა 2024 წელს სადაზღვევო ამონაგების ნაწილზე 1,070 ათასი ლარი (2023 წელი: 629 ათასი ლარი) გამოიმუშავა სადაზღვევო შემოსავალი, რომელზეც ჯგუფს სრულად შეზღუდული აქვს მესამე მხარისთვის აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის გაზიარების უფლება. რადგანაც აუდიტის პროცესში არ მოგვეცა ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების შემოწმების საშუალება, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები და ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სადაზღვევო ამონაგებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის ჯგუფს არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები ჯამურად წარმოდგენილია 2,007 ათასი ლარის ღირებულებით (31.12.2023: 2,058 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელზე ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც, საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვერდის აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ეხება ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხებიდან გამომდინარე.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ მე-2 შენიშვნაზე „მომზადების საფუძველები“, რომელიც მიგვანიშნებს, რომ 2024 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 5,347 ათას ლარს, ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს დაგროვილი ზარალი 21,198 ათასი ლარის ოდენობით და 2024 წელს აქვს უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევსწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 ოქტომბერი 2025 წელი

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
სადაზღვევო ამონაგები	6	50,165	35,193
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	7	(41,818)	(30,900)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	8	(5,819)	(1,100)
სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული შედეგი		2,528	3,193
სხვა შემოსავალი		295	87
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(5,348)	(4,620)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		(2,525)	(1,340)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(3,225)	(2,028)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა		323	(83)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(5,427)	(3,451)
მთლიანი სრული ზარალი მისაკუთვნიებული:			
- სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(5,347)	(3,410)
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(80)	(41)
მთლიანი სრული ზარალი		(5,427)	(3,451)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

დ. ბეჟუაშვილი

ბუღალტერი

მ. ბახტურიძე

11-47 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
სადაზღვევო ამონაგები	6	50,165	35,193
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	7	(41,818)	(30,900)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	8	(5,819)	(1,100)
სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული შედეგი		2,528	3,193
სხვა შემოსავალი		295	87
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(5,348)	(4,620)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		(2,525)	(1,340)
ფინანსური ხარჯი, წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთსო სხვაობებიდან, წმინდა	10	(3,225)	(2,028)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(5,427)	(3,451)
მთლიანი სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
- სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(5,347)	(3,410)
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(80)	(41)
მთლიანი სრული ზარალი		(5,427)	(3,451)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



დ. ბეგუაშვილი

ბუღალტერი



მ. ბახტურიძე

11-47 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	5,185	5,587
საბანკო დეპოზიტები	12	11,368	8,687
გაცემული სესხები	13	1,164	547
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	1,356	1,098
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	21	1,899	-
არამატერიალური აქტივები	15	1,181	1,077
მარაგები	16	12,005	12,005
აქტივების გამოყენების უფლება	17	460	705
საინვესტიციო ქონება	18	5,208	3,458
ძირითადი საშუალებები		366	276
სულ აქტივები		40,192	33,440
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,332	1,700
სხვა რეზერვები		5,102	3,754
დაგროვილი ზარალი		(21,198)	(15,851)
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი		(13,764)	(10,397)
არამაკოტროლებელი წილი		52	10
სულ კაპიტალი		(13,712)	(10,387)
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	5,646	4,185
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	21	312	294
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	20	12,085	9,017
მიღებული სესხები	22	35,377	29,632
საიჯარო ვალდებულება	17	484	699
სულ ვალდებულებები		53,904	43,827
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		40,192	33,440

11-47 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ მესაკუთრეთა კაპიტალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ
01.01.2023	1,000	(12,326)	2,179	(9,147)	331	(8,816)
კაპიტალის შევსება	700	-	-	700	-	700
შვილობილ საწარმოში წილობრივი ფლობის ცვლილების ეფექტი	-	(115)	-	(115)	(280)	(395)
მთლიანი სრული ზარალი	-	(3,410)	-	(3,410)	(41)	(3,451)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციის შედეგი	-	-	1,575	1,575	-	1,575
31.12.2023	1,700	(15,851)	3,754	(10,397)	10	(10,387)
კაპიტალის შევსება	1,632	-	-	1,632	122	1,754
კაპიტალის შემცირება	(1,000)	-	-	(1,000)	-	(1,000)
მთლიანი სრული ზარალი	-	(5,347)	-	(5,347)	(80)	(5,427)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციის შედეგი	-	-	1,348	1,348	-	1,348
31.12.2024	2,332	(21,198)	5,102	(13,764)	52	(13,712)

11-47 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული სადაზღვევო პრემია		49,439	33,951
გადახდილი ზარალები კაპიტაციის ჩათვლით		(35,582)	(24,691)
გადახდილი გადაზღვევის პრემია		(7,000)	(1,207)
გადაზღვევიდან მიღებული თანხები		361	20
გადახდილი აკვიზიციის ხარჯები		(1,132)	(729)
რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		892	440
გაცემული გარანტიის უზრუნველსაყოფად მიღებული თანხები		190	-
გადახდილი გადასახადები		(1,256)	(1,106)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი		(3,964)	(2,909)
გადახდილი მარკეტინგული და სარეკლამო ხარჯები		(140)	(361)
გადახდილი ზედამხედველობის ხარჯები		(353)	(199)
გადახდილი საკონსულტაციო ხარჯები		(168)	(109)
გადახდილი კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(153)	(136)
გადახდილი სხვა განაცემები		(169)	(137)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,618)	(1,277)
მიღებული პროცენტი		48	43
საბანკო დეპოზიტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(1,315)	1,216
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,920)	2,809
გადახდილი პროცენტი		(48)	(49)
(საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,968)	2,760
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(150)	(107)
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	5
არამატერიალური აქტივის შეძენა		(360)	(68)
სესხის გაცემა		(493)	(541)
წილის შეძენა		-	(395)
წილის შესაძენად გადახდილი ავანსის უკან დაბრუნება		-	243
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,003)	(863)
ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების გადახდა	22	(24)	(1,883)
მიღებული სესხები	22	2,925	3,839
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(339)	(308)
საწესდებო კაპიტალის შევსება		-	700
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,562	2,348
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში		(409)	4,245
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		7	10
ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	5,587	1,332
ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	5,185	5,587

11-47 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეო ინვესტმენტს (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. უფლებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენენ დავით ბეჟუაშვილი 65.7%-იანი წილით და ნანა მოსიძე 34.3%-იანი წილით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავით ბეჟუაშვილი 100%-იანი წილით).

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ პირს წარმოადგენს დავით ბეჟუაშვილი (პ/ნ 01017024747).

ჯეო ინვესტმენტსი და შვილობილი კომპანიები (შემდგომში - ჯგუფი) შპს ჯეო დეველოპმენტი და სააქციო საზოგადოება გლობალ ბენეფიტს ჯორჯია დაფუძნებული არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს ჯეო ინვესტმენტსის ძირითადი საოპერაციო საქმიანობაა ინვესტიციების მართვა.

შპს ჯეო დეველოპმენტის ძირითადი საოპერაციო საქმიანობაა სამშენებლო პროექტების განხორციელება/მართვა. შპს ჯეო დეველოპმენტსს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აქვს მიწები. კომპანიას შემუშავებული აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მიწებზე იგეგმება საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობა, შემდგომი გაყიდვის მიზნით.

სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას.

კომპანია მდებარეობს ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N34 / ალ. ყაზბეგის N2ა.

კომპანიის წილი შვილობილ კომპანიებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს ჯეო დეველოპმენტს	100%	100%
სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია	87.81%	87.81%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ჭანტურიას ქ., N5, საცხოვრებელი ფართი N3.

2. მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა კომპანიის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 5,347 ათას ლარს, ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს დაგროვილი ზარალი 21,198 ათასი ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნული მოვლენა მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მიუხედავად ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია რადგან დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ ჯგუფის საქმიანობა. როგორც ეს აღწერილია 25-ე შენიშვნაში, ჯგუფის მფლობელი მზადაა საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს დამატებითი ფინანსები.

ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ჯგუფის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

შპს ჯგო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში).
ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ▶ ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ▶ ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ▶ ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- ▶ მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

► ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე;

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ საწარმოზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

3.2 დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი

დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

დაზღვევის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე (გამომშვები) თავის თავზე იღებს მეორე მხარის (პოლისის მფლობელის) მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ეთანხმება რა, რომ აუნაზღაურებს ზიანს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში მითითებული განუსაზღვრელი მომავალი მოვლენა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე

გადაზღვევის ხელშეკრულება არის სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც ერთმა საწარმომ (გადამზღვეველმა) გამოსცა იმ მიზნით, რომ მეორე საწარმოს აუნაზღაუროს მის მიერ გამოცემული ერთი ან რამდენიმე სადაზღვევო ხელშეკრულებიდან (საბაზისო ხელშეკრულებები) წარმოშობილი მოთხოვნები/სადაზღვევო შემთხვევები. ჯგუფს აქვს პორტფელის გადაზღვევის ხელშეკრულებები და სხვა გადაზღვევის კონტრაქტები, რომლებიც გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს.

სადაზღვევო ხელშეკრულებიდან კომპონენტების ცალკე გამოყოფა

ჯგუფი აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს თუ არა ერთ ან რამდენიმე ისეთ კომპონენტს, რომლებიც მიეკუთვნებოდა რომელიმე სხვა ფასს სტანდარტის მოქმედების სფეროს, თუ ისინი განცალკევებული ხელშეკრულებები იქნებოდა. განცალკევებული კომპონენტის გამოყოფის შემდეგ ჯგუფი იყენებს ფასს 17 საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების ყველა დარჩენილი კომპონენტის მიმართ.

სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირების დონე

ფასს 17 მოითხოვს, განისაზღვროს აგრეგირების დონე მისი მოთხოვნების შესაბამისად. აგრეგირების დონე პირველ რიგში განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელურად დაყოფით. პორტფელები შედგება მსგავსი რისკის მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისგან, რომლებიც იმართება ერთად. ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ, აგრეგირების მიზნებისთვის, არცერთი ჯგუფი არ მოიცავდეს ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღებს შორის ინტერვალი აღემატება ერთ წელს. აქედან გამომდინარე, ჯგუფი ყოველი წლის განმავლობაში გაფორმებულ ხელშეკრულებების პორტფელს ყოფს სამ ჯგუფად, შემდეგნაირად:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წაგებიანია, ასეთის არსებობისას;
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წაგებიანი, ასეთის არსებობისას; და
- პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი, ასეთის არსებობისას.

აღიარება

ჯგუფი აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ გამოსცემს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფში უნდა განხორციელდეს რომელიმე პოლისის მფლობელისგან პირველი გადახდა ან თარიღი, როდესაც უნდა მოხდეს პირველი გადახდის მიღება, თუ არ არის გადახდის თარიღი დადგენილი; და
- წამგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი აღიარებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც თვითონ ფლობს, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღი. თუმცა, ჯგუფი გადადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების იმ ჯგუფის აღიარებას, რომელიც პროპორციულ სადაზღვევო დაფარვას უზრუნველყოფს, ნებისმიერი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღის შემდგომი თარიღია; და
- თარიღი, როდესაც ჯგუფი აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, იმ შემთხვევაში, თუ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების მოცემულ ჯგუფში შემავალი შესაბამისი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულება ჯგუფმა დადო ამ თარიღისთვის ან უფრო ადრე.

ხელშეკრულების საზღვრები

ჯგუფის სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს ყველაწარმოადგენს ფულად ნაკადს, რომელიც განეკუთვნება ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების ფარგლებს. ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს განეკუთვნება, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც ჯგუფს შეუძლია პოლისის მფლობელს დაავალდებულოს პრემიების გადახდა, ან ჯგუფს აქვს რეალური ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს პოლისის მფლობელს.

არ აღიარდება ვალდებულება ან აქტივი, რომელიც დაკავშირებულია იმ მოსალოდნელ პრემიებთან ან მოსალოდნელ სადაზღვევო შემთხვევებთან, რომლებიც არ განეკუთვნება სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს. ამგვარი თანხები დაკავშირებულია მომავლის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან.

შეფასება - პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა PAA

ჯგუფი იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომას (PAA) ყველა იმ სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც ის გამოსცემს და მოელის მიაკუთვნოს მიეს მიერ ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, თუ:

- ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, მათ შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც განეკუთვნება ხელშეკრულების ფარგლებს;
- ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ხელშეკრულებებისთვის, ჯგუფმა შეიმუშავა შესაძლო მომავლის სცენარები და გონივრულად ვარაუდობს, რომ PAA მეთოდით შეფასებული ჯგუფში შემავალი ხელშეკრულებების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არსებითად არ განსხვავდება იმ შეფასების შედეგისგან, რომელიც ძირითადი შეფასების მეთოდის გამოყენების შედეგად დადგებოდა.

სადაზღვევო ხელშეკრულებები - თავდაპირველი შეფასება

ჯგუფი იმ სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც არ არის წაგებიანი თავდაპირველი აღიარებისას, აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას, როგორც საწყისი აღიარებისას მიღებულ პრემიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებს რომ ხელშეკრულებები წაგებიან საწყისი აღიარებისას, ჯგუფი ატარებს დამატებით ანალიზს, რათა განსაზღვროს მოსალოდნელია თუ არა ნეტო გადინება ხელშეკრულებიდან.

ასეთი წაგებიანი ხელშეკრულებები ჯგუფდება განცალკევებით სხვა ხელშეკრულებებისაგან და ჯგუფი აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში ნეტო გადინებასთან მიმართებით, რის შედეგადაც ამ ჯგუფთან დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება გაუტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ჯგუფი განსაზღვრავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს ნებისმიერი ასეთი წაგებიანი ჯგუფისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალებს.

3. არსებითი საღრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადაზღვევის ხელშეკრულებები - საწყისი აღიარება

ჯგუფი აფასებს გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომლსაც იგი ფლობს, იმგვარადვე როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელსაც თვითონ გამოსცემს. თუმცა ახდენს მათ კორექტირებას, რათა ასახოს ის გადაზღვევის ხელშეკრულების მახასიათებლები, რომელიც განსხვავდება გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისაგან, მაგალითად ხარჯების წარმოშობა ან ხარჯების შემცირება ამონაგების აღიარების ნაცვლად.

სადაც ჯგუფი აღიარებს ზარალს დაკავშირებულ სადაზღვევო ხელშეკრულების წაგებიან ჯგუფთან მიმართებით ან როდესაც შემდგომი დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებები ემატება ჯგუფში, ჯგუფი განსაზღვრავს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

სადაზღვევო ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება

ჯგუფი აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას, შემდეგნაირად:

- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას; დამატებული
- პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემია; მინუს
- თანხა, რომელიც აღიარებულია სადაზღვევო ამონაგების სახით მოცემული პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

ჯგუფი არ ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირებას ფულის დროითი ღირებულებისა და ფინანსური რისკის გავლენის ასახვის მიზნით, რადგან თავდაპირველი აღიარების მომენტში ჯგუფი ვარაუდობს, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის გაწევისა და დაკავშირებული პრემიის გადახდის თარიღს შორის დროის პერიოდი არ აღემატება ერთ წელს.

ჯგუფი აფასებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომელიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს.

გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს ჯგუფის მიმდინარე შეფასებებს და მოიცავს არა-ფინანსური რისკის კორექტირებას (რისკის კორექტირება).

ჯგუფი აკორექტირებს მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, გარდა იმ ფულადი ნაკადებისა რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში. ჯგუფი მომავალი ფულადი ნაკადების კორექტირებას არ ახდენს ფულის დროითი ღირებულებით და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებას ფინანსური რისკის ეფექტით, იმ შემთხვევაში თუ ამ ფულადი ნაკადების დაფარვა ან მიღება მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევების დადგომის თარიღიდან ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ ვადაში.

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება

ჯგუფი მის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომ შეფასებას ახდენს იგივე პრინციპით როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებების, როლთაც ის გამოსცემს და ახდენს ადაპტაციას გადაზღვევასთან დაკავშირებული გარკვეული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით.

გამოცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

ყველა დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები აღიარდება ხარჯებში მათი გაწევისთანავე. ეს მოიცავს მცირე რაოდენობის ხელშეკრულებებს, სადაც სადაზღვევო პერიოდი აღემატება თორმეტ თვეს და აღნიშნულ ხელშეკრულებებთან მიმართებით არ ფიქსირდება არსებითი აკვიზიციის ხარჯები. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება ჯგუფის წინა საღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გულისხმობდა აკვიზიციის ხარჯების სადაზღვევო პერიოდზე განაწილებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები - მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების შეწყვეტას, როდესაც:

- ხელშეკრულება შეწყდება ე.ი. როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება; ან
- თუ სადაზღვევო ხელშეკრულება მოდიფიცირდება ისე რომ იწვევს შეფასების მოდელში ცვლილებას ან როდესაც შესაბამის სტანდარტი, რომელიც ხელშეკრულების კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება, მნიშვნელოვნად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს მოდიფიცირებული ხელშეკრულების სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და აღიარებს მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას როგორც ახალ ხელშეკრულებას.

როდესაც მოდიფიკაცია არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის პირობებს, ჯგუფი ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად მიღებულ ან გადახდილ თანხებს ასახავს როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებების ცვლილებას.

წარდგენა

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს ჯგუფის მიერ გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, გამოშვებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

ჯგუფი ახდენს მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხების დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს შორის.

ჯგუფი არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილებს შორის და მთლიან ცვლილებას ასახავს როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

ჯგუფი ერთი თანხის სახით წარადგენს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

სადაზღვევო ამონაგები

პერიოდის სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს მოსალოდნელი მისაღები პრემიის თანხას (არ მოიცავს საინვესტიციო კომპონენტს და შესწორებულია საკრედიტო რისკით), რომელიც მიკუთვნებულია მოცემულ პერიოდზე. შესაბამისად, ფასს 17-ის მოდელი სადაზღვევო ამონაგების აღიარებასთან მიმართებით ასახავს დაზღვეულების მიერ პრემიის გადაუხდელობის რისკს.

ჯგუფი მოსალოდნელ მისაღებ პრემიას სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებას თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის პროპორციულად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკისგან განთავისუფლების მოსალოდნელი სქემა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ სქემისგან, რომელიც ასახავს დროის გასვლას, მაშინ მისაღები პრემია ნაწილდება სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების წარმოშობის მოსალოდნელი დროის საფუძველზე. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების დისკონტირება არ ხდება.

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულების ისეთ ცვლილებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა რომელთა გადახდაც მოსალოდნელია წარმოშობიდან ერთ წელიწადში, რომელიც წარმოიშობა:

- ფულის დროითი ღირებულებისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად; და
- ფინანსური რისკისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წმინდა შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებიდან

ჯგუფი წარადგენს მოგებაში ან ზარალში ერთი თანხის სახით გადამზღვეველის მიერ მოსალოდნელ ასანაზღაურებელ თანხებს და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილების თანხებს.

3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სხვა აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

შპს ჯგო ინვესტიმენტს და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა აქტივები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში. ჯგუფი სხვა აქტივებს სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღრიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ოფისის რემონტი	5
ტექნიკური აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და ინვენტარი	5-10
ავტომობილები	10

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა შემოსავალი/(ხარჯი).

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სააღრიცხვო პროგრამის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5 წელს.

3.7 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი ისტორიული ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფის საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწას, რომელსაც ცვეთა არ ერიცხება.

3.8 მარაგები

ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია ჯგუფის მარაგს წარმოადგენდეს განსაკუთრებული აქტივი.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

3.9 დაბეგვრა

ჯგუფის კომპანიებისთვის 31.12.2023 მდგომარეობით მოქმედებს მოგების გადასახადით დაბეგვრის განსხვავებული მიდგომები. კერძოდ, სს “რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთვის” მოქმედებს მოგების გადასახადის ძველი მოდელი, ხოლო ჯგუფის წევრი სხვა კომპანიებისთვის მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვისაც ვრცელდება მოგების გადასახადის ახალი მოდელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან შპს „ჯეო ინვესტმენტსისა“ და შპს „ჯეო დეველოპმენტის“ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთვის“ მოქმედებს მოგების გადასახადის დაბეგვრის ძველი მოდელი. შესაბამისად, მისი პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს.

სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიასთვის“ გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გველენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ზიზნეს კომბინაციასთან.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.10 პერსონალის ხარჯი

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

3.11 იჯარა

ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფმა აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია უნდა აისახოს, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტრირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფის აქტივების გამოყენების უფლების ვადა განსაზღვრულია 3 წლით.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღრიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.12 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გასვლა მიმდინარე მოვალეობასთან დაკავშირებით, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიშვა, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. თუმცა, თუ ეკონომიკური სარგებლის გასვლა დამოკიდებულია მომავალში მოსახდენ მოვლენაზე ან არ არის შესაძლებელი მისი საიმედოდ შეფასება, ფინანსურ ანგარიშგებაში კეთდება განმარტებითი შენიშვნა პირობითი ვალდებულების სახით.

3.13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფასს 17 - სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები

აგრეგირების დონე - სააღრიცხვო განსჯა

ჯგუფი პორტფელს განსაზღვრავს როგორც ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. ხელშეკრულებები ერთი პროდუქტის ხაზის ფარგლებში არის ერთი და იმავე პორტფელში, რადგან აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. შეფასება, თუ რომელი რისკებია მსგავსი და როგორ იმართება ხელშეკრულებები მოითხოვს განსჯას.

პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა - სააღრიცხვო განსჯა

მცირე რაოდენობის სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომელთაც აქვთ თორმეტ თვეზე მეტი სადაზღვევო პერიოდი (როგორც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში), ჯგუფი ხელშეკრულების შესწავლის შემდგომ ირჩევს PAA მიდგომას, რადგან მოელის რომ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არსებითად არ განსხვავდება ძირითადი შეფასების მოდელისგან. ჯგუფი განსჯაზე დაყრდნობით განსაზღვრავს რამდენად დასაშვებია PAA მიდგომის გამოყენება საწყისი აღიარებისას.

წაგებიანი ხელშეკრულებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო

ჯგუფი მიიჩნევს რომ საწყისი აღიარებისას არც ერთი ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, მანამ სანამ ფაქტები და გარემოებები არ მიუთითებს სხვაგვარად. ეს ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რაც შეიძლება განუსაზღვრელი იყოს მათი დროის, ზომის და ალბათობის გამო. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, ჯგუფი ადგენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს როგორც ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებასთან დაკავშირებულ გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადაჭარბებას დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულება/პირვანდელი ღირებულებასთან მიმართებით. შესაბამისად, სადაზღვევო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ზარალის კომპონენტი ნულის ტოლი იქნება. როდესაც ჯგუფი საწყისად აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს ან როცა შემდგომში ემატება წაგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფი, და ჯგუფი ფლობს მოკორესპონდენტო გადაზღვევის ხელშეკრულებას, ჯგუფი განსაზღვრავს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას.

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, ჯგუფი მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველაწარმოებად და დადასტურებულ ინფორმაციას საანგარიშგებო თარიღისთვის. ეს ინფორმაცია მოიცავს ზარალთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით როგორც შიდა ასევე გარე ისტორიულ, განახლებულ მონაცემებს, რათა ასახოს მომავალი მოვლენების შესახებ მიმდინარე მოლოდინები. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს კომპანიის ხედვას მიმდინარე მოვლენებზე საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა უზრუნველყოს შესაბამისი საბაზრო ცვლადების შეფასებების შესაბამისობა ამ ცვლადი სიდიდეების დაკვირვებად საბაზრო ფასებთან, თუმცა აღნიშნული ფულადი ნაკადები არსებითად განუსაზღვრელია მათი ზომის, დროის მიხედვით და დაფუძნებულია ალბათობებით შეწონილი საშუალო მნიშვნელობის მოლოდინებზე.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

რისკის კორექტირება - განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები

რისკის კორექტირება არა-ფინანსური რისკისთვის განისაზღვრება ისე, რომ გაითვალისწინოს კომპენსაცია, რომელსაც ჯგუფი მოითხოვს არა ფინანსური რისკის აღებისთვის და რისკის ის დონე, რომელსაც ჯგუფი არ იღებს თავის თავზე. აღნიშნული განისაზღვრება ჯგუფის დონეზე (გარდა ჯანმრთელობის დაზღვევისა, რომლისთვისაც განისაზღვრება პორტფელის დონეზე) და მიეკუთვნება ხელშეკრულებების ჯგუფს მათი რეზერვის ზომის შესაბამისად. ჯგუფი არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების სიდიდის განსაზღვრისთვის იყენებს სანდოობის ინტერვალის ტექნიკას.

ჯგუფი აფასებს კონტრაქტებიდან მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების ალბათობის განაწილებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და გამოთვლის რისკის კორექტირებას არაფინანსური რისკისთვის ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით. ნდობის ინტერვალის გულისხმობს ალბათობას, რომ პოპულაციის პარამეტრი დაეცემა მნიშვნელობებს შორის გარკვეული პროპორციით. იმ სიტუაციებში, როდესაც ზემოაღნიშნული მეთოდების განაწილების დაშვებები გაურკვეველია ან დარღვეულია, ხელახალი შერჩევის მეთოდები იძლევა სანდო ინტერვალის ან პროგნოზირების ინტერვალის აგებას.

ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით, რისკის კორექტირება გამოითვლება როგორც ზღვარი არასასურველი გადახრის ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი მნიშვნელობიდან, არჩეული ნდობის დონის გამოყენებით. რისკის კორექტირება არის მანძილი ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას (საშუალოს შეფასება მთელ განაწილებაზე) და შერჩეული ნდობის დონის მიღმა ფულადი სახსრების ნაკადების ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას შორის. ჯგუფი არაფინანსურ რისკს ანგარიშობს 80%-იანი დონით.

სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შეფასების იმ შედეგებისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი ჯგუფში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

5.1 სადაზღვევო რისკები

სადაზღვევო რისკების მართვა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სადაზღვევო ხელშეკრულებების გაცემა და, შესაბამისად, სადაზღვევო რისკი არის ძირითადი რისკი. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, ნებისმიერი მოთხოვნის ოდენობისა და დროის გაურკვევლობის ჩათვლით.

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს საკმარისი რეზერვები მის მიერ გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარად. რისკის ზემოქმედება მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციის შედეგად. რისკის ცვალებადობა ასევე გაუმჯობესებულია ანდერრაიტინგის სტრატეგიის ინსტრუქციების ფრთხილად შერჩევით და განხორციელებით, ასევე გარე სადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

გადაზღვევა განთავსებულია როგორც პროპორციულ, ისე არაპროპორციულ საფუძველზე. პროპორციული გადაზღვევის უმეტესი ნაწილი არის კვოტური გადაზღვევა, რომლის მიზანია კომპანიის საერთო რისკის შემცირება დაზღვევის ცალკეულ სახეობებზე. ზარალის არაპროპორციული გადაზღვევის შენარჩუნების ლიმიტები განსხვავდება პროდუქტის ხაზის მიხედვით.

სადაზღვევო რისკის ოდენობა ასევე დაკავშირებულია მომხმარებლის ქცევასთან. დაზღვეულების რაციონალურმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გაზარდოს სადაზღვევო რისკი. დაზღვეული ქცევა გაითვალისწინება პროდუქტების მახასიათებლების ფორმირების დროს. მაგალითად: პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტა შეიძლება ითვალისწინებდეს საჯარიმო სანქციებს, რომ მოხდეს შემენის დანახარჯების გადაფარვა. მდგრადობის მონიტორინგი ხორციელდება პორტფელის დონეზე და ემყარება პორტფელის ბაზრის ინფორმაციას. დროდადრო, მენეჯმენტს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ქმედებები და წახალისებები მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

სადაზღვევო რისკის ოდენობა ასევე დაკავშირებულია ხარჯების ზრდის რისკთან, რაც გულისხმობს - ხელშეკრულების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების მოულოდნელ ზრდას (და არა სადაზღვევო მოვლენებთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას). ხარჯების რისკი იმართება წლიური ბიუჯეტირების პროცესით და რეგულარული ხარჯების ანალიზით. ჯგუფი განუწყვეტლივ განიხილავს ანდერრაიტინგის სტრატეგიას განვითარებადი საბაზრო ფასების, ზარალის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ჯგუფი ძირითადად გასცემს შემდეგი სახის ზოგადი დაზღვევის კონტრაქტებს: ქონების, ავტომობილის, პროფესიული პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, კასკოს, საავიაციო, მცურავი სატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო (ჯანმრთელობის) და მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი ტიპის სადაზღვევო პოლისი ჩვეულებრივ მოიცავს თორმეტ თვეს.

არაჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან. ჯანდაცვის კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ცხოვრების სტილის ცვლილებებით, ეპიდემიით და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემოსავლებზე.

ჯგუფის სადაზღვევო კონტრაქტების ანდერრაიტინგის რისკის მართვის ძირითადი კომპონენტი არის დისციპლინირებული ანდერრაიტის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. პროდუქტის ფასდადება მიზნად ისახავს შესაბამისი პრემიების დადგენას ყოველი ტიპის სავარაუდო რისკისთვის. ანდერრაიტინგის სტრატეგია მოიცავს ჯამური ლიმიტების დადგენას კონკრეტულ რისკებზე, გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ ზემოქმედების ლიმიტებთან ერთად. აღნიშნულის მიზანია უზრუნველყოფილი დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნება, ზედმეტი ექსპოზიციის გარეშე რომელიმე გეოგრაფიულ რეგიონში. ლიმიტები დაწესებულია შესაბამისი რისკის შერჩევის კრიტერიუმების ხელშეწყობისთვის. დაზღვეულის რისკის პროფილების, პრეტენზიების გამოცდილების და საბაზრო ფაქტორების ცვლილებების საპასუხოდ, ხელშეკრულების ფასის ხელახალი გაანგარიშების შესაძლებლობა არის ფასების რისკის მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი ფაქტორი.

საცალო და კომერციულ ქონებაში ჯგუფი იყენებს ანალიტიკას რისკის ქვეშ მყოფი ქონების იდენტიფიცირებისთვის და რისკის შერჩევის გასაუმჯობესებლად. საცალო ვაჭრობის სფეროში ჯგუფი აგროვებს მონაცემებს დაზღვეულის მართვის ჩვევების შესახებ და არეგულირებს პრემიებს რისკის დინამიური, მონაცემებით მდიდარი შეფასების საფუძველზე.

ჯგუფი იყენებს გადაზღვევას ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზარალის რისკის შესამცირებლად, მათ შორის ჭარბი ზარალის გადაზღვევის ჩათვლით. სადაც ინდივიდუალური რისკი აღემატება რისკის მისაღებ დონეს, ასევე შეძენილია დამატებითი ფაქტორული გადაზღვევა. ჯგუფს აქვს ზარალის განხილვის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ზარალთან დაკავშირებული რისკების შემცირება. ეს დეპარტამენტი იკვლევს და არეგულირებს ყველა არსებით ან საეჭვო პრეტენზიას. პრეტენზიები განიხილება ინდივიდუალურად, სულ მცირე, ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია რისკის მართვის სტრატეგიაში, რათა ასახოს უახლესი ინფორმაცია ძირითადი ფაქტორების, მოქმედი კანონის, სახელშეკრულებო პირობებისა და სხვა ფაქტორების შესახებ.

შპს ჯგო ინვესტიმენტს და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი აქტიურად მართავს და ახორციელებს ზარალების ადრეულ ანგარიშსწორებას, რათა შეამციროს მისი ზემოქმედება არაპროგნოზირებადი მოვლენების მიმართ.

არასასიცოცხლო კონტრაქტებს ახასიათებს კატასტროფის რისკი - კატასტროფული მოვლენების შედეგად მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების რისკი. ამ ტიპის რისკი გავლენას ახდენს საავტომობილო და ქონების დაზღვევის პოლისებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ზარალების რაოდენობა და სიხშირე, არის კატასტროფული მოვლენა, როგორიცაა ქარიშხალი, წყალდიდობა ან მიწისძვრა. ყველა ტიპის სადაზღვევო პროდუქტისთვის დამახასიათებელია: პრემიის რისკი - რისკი იმისა, რომ დაზღვეულებისთვის დარიცხული პრემიები ნაკლებია ზარალების ოდენობაზე; რეზერვის რისკი - რისკი იმისა, რომ ზარალების რეზერვები არასაკმარისია ყველა ზარალის დასაფარად.

სიცოცხლის დაზღვევის პოლისებისთვის, სადაც სიკვდილი ან ინვალიდობა არის სადაზღვევო რისკი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაზარდონ ზარალების ოდენობა და სიხშირე, არის ეპიდემიები ან ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელებული ცვლილებები, რაც გამოიწვევს მოსალოდნელზე ადრე ან მეტ ზარალს.

ჯგუფი იყენებს „ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება სადაზღვევო ზარალების გაყოფით სადაზღვევო ამონაგებზე. კომპანიის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2024	2023
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გარეშე	76%	80%
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით	85%	82%

სადაზღვევო რისკის მგრძნობელობა

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო პორტფელი მგრძნობიარეა ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვლადობის მიმართ. ჯგუფის ზარალიანობის კოეფიციენტის ფაქტიურ მაჩვენებელს სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს მომავალში სადაზღვევო ტარიფების ფორმირებისას. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის მგრძნობელობას ზარალის კოეფიციენტის მიმართ 5%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში

	2024	2023
მოგება/(ზარალი) - გადაზღვევის გარეშე	892	497
მოგება/(ზარალი) - გადაზღვევის ჩათვლით	849	478

ხელმძღვანელობის შეფასებით 5%-იანი ცვლილება წარმოადგენს ზარალიანობის კოეფიციენტის შესაძლო ცვლილების გონივრულ საზღვრებს. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პორტფელიდან მოსალოდნელ სადაზღვევო შემოსავლების და სადაზღვევო ზარალების გონივრულ ცვლილებას.

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია არსებობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან/და სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობაზე. რისკის კონცენტრაციის სამართავად ჯგუფი იყენებს გადაზღვევას. ხელმძღვანელობის შეფასების სადაზღვევო რისკების კონცენტრაციას გამოხატავს სადაზღვევო ამონაგების განაწილება სახეობების მიხედვით (შენიშვნა 7).

სადაზღვევო რისკი - სადაზღვევო შემთხვევების დინამიკა

ჯგუფი არ განმარტავს ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის შესახებ, რადგან დანახარჯების ოდენობასა და გადახდის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, როგორც წესი, გადაიჭრება ერთ წელიწადში.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი – ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს გადაიხადოს ყველა ვალდებულება შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულების მართვის პროცესის ნაწილს. ზარალიდან წარმოქმნილი ვალდებულება და წარმოშობილ ზარალში გადაზღვევისგან მისაღები თანხები გადასახდელია 1 წლის განმავლობაში.

სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებს არ აქვთ თანხები, რომლებიც გადასახდელია მოთხოვნისთანავე.

სადაზღვევო რისკი – სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება მერყეობდეს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. სავალუტო კურსის ცვლილება არამატერიალურ გავლენას ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია აშშ დოლარში და ევროში. გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ სავალუტო რისკს.

კომპანიის მგრძნობელობა აშშ დოლარის ან ევროს მიმართ 20%-იანი მატებისა და კლების პირობებში ქართულ ლართან მიმართებაში არის მოგება/(ზარალი) 317 ათასი ლარი (2023 წელი – (59) ათასი ლარი). 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას.

5.2 კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დაკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

ჯგუფის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. კომპანიის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საქართველოში სადაზღვევო სექტორს არეგულირებს „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის უზრუნველყოფა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ათას ლარზე ნაკლები.

მზღვეველის კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე არ უნდა იყოს სამსახურის მიერ მზღვეველისთვის დადგენილი გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშებით მიღებული ოდენობის 1/3-ზე ნაკლები.

კაპიტალის მინიმალური ოდენობა, დაზღვევის სფეროში საშუალოდ საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, 100%-ით ფულადი ფორმით, უწყვეტად უნდა იყოს განთავსებული საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშ(ებ)ზე, არანაკლებ 1 წლიანი პერიოდულობით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებს კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნას.

ჯგუფი ახორციელებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის №15 და №16 ბრძანებების საფუძველზე განისაზღვრა გადახდისუნარიანობის მარჯის და საზედამხედველო კაპიტალის ცნება.

ბრძანებებით ასევე განსაზღვრულია გადახდისუნარიანობის მარჯის და საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობის საკითხი. 2021 წლის 31 დეკემბრიდან პერიოდის განმავლობაში. საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე, გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობის ან 7,200 ათასი ლარის ტოლი.

საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალის მიხედვით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მეკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 ბრძანების შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის გადახდისუნარიანობის მარჯაზე მეტი ოდენობის მოთხოვნას (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას).

5.3 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე ფინანსური რისკი. ეს რისკები შემდეგია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო რისკი

5. რისკების მართვა (გაგრძელება)
ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსური რისკის წინაშე იდგეს, შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,185	5,587
საბანკო დეპოზიტები	11,368	8,687
გაცემული სესხები	1,164	547
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	351	173
სულ ფინანსური აქტივები	18,068	14,994
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,614	4,133
მიღებული სესხები	35,377	29,632
საიჯარო ვალდებულება	484	699
სულ ფინანსური ვალდებულებები	41,475	34,464

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

ჯგუფს არ გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც მათი დანიშნულებიდან გამომდინარე შეფასებული უნდა იყოს რეალური ღირებულებით. შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31.12.2024	31.12.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,185	5,587
საბანკო დეპოზიტები	11,368	8,687
გაცემული სესხები	1,164	547
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	351	173
სულ ფინანსური აქტივები	18,068	14,994

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ეკვივალენტები და საბანკო დეპოზიტები მიეკუთვნება „არც ვადაგასული და არც გაუფასურებული“ ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიას.

შპს ჯგო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც შეესაბამება ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

31.12.2024	0-დან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,614	-	5,614
მიღებული სესხები	38,131	2,047	40,178
საიჯარო ვალდებულებები	295	233	528
	44,040	2,280	46,364

31.12.2023	0-დან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,549	-	4,549
მიღებული სესხები	32,943	-	32,943
საიჯარო ვალდებულებები	282	506	788
	37,774	506	38,369

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

შპს ჯგო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ანალიზი მოცემული პერიოდისთვის:

31.12.2024	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჯამი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,920	97	168	5,185
საბანკო დეპოზიტები	11,368	-	-	11,368
გაცემული სესხები	-	1,164	-	1,164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	351	-	-	351
	16,639	1,261	168	18,068
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,614	-	-	5,614
მიღებული სესხები	23,627	11,750	-	35,377
საიჯარო ვალდებულება	-	484	-	484
	29,241	12,234	-	41,475
ღია სავალუტო პოზიცია	(12,602)	(10,973)	168	

31.12.2023	ლარი	აშშ დოლარი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,442	145	5,587
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8,687	-	8,687
გაცემული სესხები	-	547	547
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	173	-	173
	14,302	692	14,994
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,133	-	4,133
მიღებული სესხები	18,833	10,799	29,632
საიჯარო ვალდებულება	-	699	699
	22,966	11,498	34,464
ღია სავალუტო პოზიცია	(8,664)	(10,806)	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის აშშ დოლარის და ევროს მგრძნობელობას ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება ჯგუფის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	აშშ დოლარი		ევრო	
2024	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/ზარალი	(2,195)	2,195	34	(34)

	აშშ დოლარი	
2023	20%	- 20%
მოგება/ზარალი	(2,161)	2,161

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

6. სადაზღვევო ამონაგები

	2024	2023
სამედიცინო დაზღვევა	31,218	21,787
ავტომობილების დაზღვევა	9,236	8,410
საავიაციო დაზღვევა	4,538	59
სავალდებულო დაზღვევა*	2,434	2,673
სხვა	2,739	2,264
	50,165	35,193

(*) - სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს. სავალდებულო დაზღვევის არსი მდგომარეობს შემდეგში: უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მძღოლი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით. სავალდებულო დაზღვევით ნაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი. სხვა სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს ქონების, საფინანსო დანაკარგების პასუხისმგებლობის, სიცოცხლის, უზედური შემთხვევის და სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევას.

7. სადაზღვევო მომსახურების ხარჯი

	2024	2023
მომხდარი ზარალები	(37,952)	(28,072)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,317)	(1,690)
დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	(1,228)	(1,159)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	(131)	172
პოლისების მოზიდვის ხარჯი	(1,195)	(964)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	1,005	813
	(41,818)	(30,900)

8. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი

	2024	2023
გადაზღვევის ხარჯი	(7,691)	(2,099)
გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში	1,814	1,068
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	58	(69)
	(5,819)	(1,100)

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(3,038)	(2,283)
ზედამხედველობის მომსახურების საფასური	(503)	(353)
ცვეთა და ამორტიზაცია	(350)	(360)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება*	(311)	(244)
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის ხარჯი	(208)	(241)
სარეკლამო ხარჯი	(156)	(393)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	(127)	(111)
კომუნალური ხარჯი	(109)	(130)
საოფისე ხარჯი	(73)	(189)
სხვა	(473)	(316)
	(5,348)	(4,620)

(*) - 2024 წელს დარიცხული კონსულტაციის ხარჯი მოიცავს აუდიტის ხარჯს, რომელიც შეადგენს 153 ათას ლარს (2023: 89 ათასი ლარი).

10. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2024	2023
დეპოზიტებიდან და გაცემული სესხიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	1,512	1,142
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ამორტიზაციის პროცენტი	(416)	-
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(3,696)	(3,187)
მიღებულ/გაცემულ სესხებთან დაკავშირებული გადაფასების ხარჯი	(473)	86
გარანტიაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(77)	-
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი და გადაფასება, წმინდა	(75)	(69)
	(3,225)	(2,028)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	4,817	5,442
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	265	145
შეზღუდული ფული	103	-
	5,185	5,587

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს ჯგო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

12. საბანკო დეპოზიტები

	31.12.2024	31.12.2023
საბანკო დეპოზიტები	10,801	8,300
მისაღები პროცენტები	567	387
	11,368	8,687

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს ერთ და ორ წლიან დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში, რომელთა საპროცენტო განაკვეთი 2024 და 2023 წელს მერყეობს 12.25%-დან 14.10%-მდე.

ჯგუფს მოეთხოვება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შეფასებული ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) სიდიდეზე. კომპანიის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით. დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

13. გაცემული სესხები

გაცემული სესხები მოიცავს არადაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხს 31.12.2024 მდგომარეობით 1,164 ათასი ლარის (31.12.2023: 547 ათასი ლარი) ოდენობით. გაცემული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.15%-ს პლუს 6 თვის Secured Overnight Financing Rate (SOFR). გაცემული სესხის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0-ს.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები სავალდებულო დაზღვევის მიმართ	130	144
მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	122	-
სხვა	99	29
სულ ფინანსური მოთხოვნები	351	173
მოთხოვნები რეგრესებიდან	393	286
გადახდილი ავანსები	324	196
გადახდილი დაზღვევის თანხები	152	188
საგადასახადო აქტივი	136	-
სხვა	-	255
სულ არაფინანსური მოთხოვნები	1,005	925
სულ	1,356	1,098

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

15. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	სააღრიცხვო პროგრამა	გებგვერდი და სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31.12.2022	1,475	237	1,712
შემოსვლა	82	16	98
31.12.2023	1,557	253	1,810
შემოსვლა	310	48	358
გასვლა	-	(61)	(61)
31.12.2024	1,867	240	2,107
დაგროვილი ამორტიზაცია			
31.12.2022	(439)	(78)	(517)
ამორტიზაცია	(154)	(62)	(216)
31.12.2023	(593)	(140)	(733)
ამორტიზაცია	(188)	(66)	(254)
გასვლა	-	61	61
31.12.2024	(781)	(145)	(926)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31.12.2023	964	113	1,077
31.12.2024	1,086	95	1,181

16. მარაგები

ჯგუფს მარაგებად კლასიფიცირებული აქვს უძრავი ქონება, რომელიც შედგება მიწებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისგან. ჯგუფმა (შპს ჯეო დეველოპმენტმა) 2017 წელს შეიძინა მიწები, რომლებიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელში - ზურგოვანა. ჯგუფს შემუშავებული აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მიწებზე იგეგმება საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობა, შემდგომი გაყიდვის მიზნით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჩატარებული აქვს სხვადასხვა კვლევები და სამუშაოები, თუმცა სამშენებლო სამუშაოები არ დაუწყია.

მარაგები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2024	31.12.2023
მიწა	9,142	9,142
დაუმთავრებელი მშენებლობა*	2,863	2,863
	12,005	12,005

კაპიტალიზაციისათვის განკუთვნილი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების განსაზღვრისას გამოყენებული კაპიტალიზაციის ნორმა წარმოადგენს 8%-12%-ს.

ჯგუფის მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის დაგირავებული დაკავშირებული მხარეების მიერ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების სასარგებლოდ.

17. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ფართი ადმინისტრაციული ოფისისთვის და მომსახურების ცენტრისთვის. აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელი წარმოდგენილია დოლარში. იჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, შეადგენს 8-9%-ს.

აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივის გამოყენების უფლება	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	705	276
შემოსვლა	-	115
შეფასების ცვლილება	-	554
ცვეთა	(245)	(240)
31 დეკემბრის მდგომარეობით	460	705
საიჯარო ვალდებულება	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	699	231
შემოსვლა	-	115
შეფასების ცვლილება	-	554
საპროცენტო ხარჯი	52	65
გადახდა	(290)	(270)
კურსთა შორის სხვაობა	23	4
31 დეკემბრის მდგომარეობით	484	699

დამატებითი ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს ჯეო ინვესტიმენტს და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

18. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მიწის ნაკვეთებს ქალაქ ბათუმში (3,724 კვ.მ), გორსა (267 ჰა) და თბილისში (1,272 კვ.მ) ჯამური ღირებულებით 3,458 ათასი ლარი.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეისყიდა ორი მიწის ნაკვეთი დუშეთის რაიონის სოფელი ჯაღმიაწში (7,790 კვ.მ) და სოფელ გრიგოლაანთკარში (7,500 კვ.მ), ჯამური ღირებულებით 950 ათასი ლარი.

ასევე, 2024 წელს მოხდა საინვესტიციო ქონების (შენობა-ნაგებობის) შესყიდვა, ქონების რეალური ღირებულება, 800 ათასი ლარის ღირებულებით, შეფასებულია კვალიფიციური შემფასებლის მიერ სამართლიანი ღირებულებების მე-2 დონის მიხედვით. შეფასების პროცესში, გამოყენებულია შედარების მეთოდი. ანალოგების გამოყენებისას ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით. მოცემული საინვესტიციო ქონების ცვეთა 2024 წლის განმავლობაში არ არის არსებითი.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ჯამურად 7,025 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,462 ათას ლარს.

მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმში (3,724 კვ.მ), გორსა (267 ჰა) და თბილისში (1,272 კვ.მ) რეალური ღირებულების შეფასება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაკეთებულია კვალიფიციური შემფასებლის მიერ სამართლიანი ღირებულებების მე-2 დონის მიხედვით. შეფასების პროცესში, გამოყენებულია შედარების მეთოდი. ანალოგების გამოყენებისას ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით. შემფასებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და უახლესი გამოცდილება შესაბამისი ლოკაციების ქონების შეფასებაში.

ჯგუფის შემდეგი საინვესტიციო ქონებების - შენობა-ნაგებობის - ქალაქ თბილისში, დუშეთის რაიონის სოფელ ჯაღმიაწში მდებარე მიწის ნაკვეთის (7,790 კვ.მ) და სოფელ გრიგოლაანთკარში მდებარე მიწის ნაკვეთის (7,500 კვ.მ) სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა კომპანიის შიდა რესურსებით, დამოუკიდებელი გარე შემფასებლის გარეშე. შეფასება განხორციელდა ბაზარზე არსებული ანალოგიური ტიპის ქონებების ფასების ანალიზის საფუძველზე (საბაზრო მიდგომა), ანალოგების გამოყენებისას ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით. გამოყენებული საინფორმაციო ბაზა და მონაცემები მოიცავს დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციას და მენეჯმენტის პროფესიულ შეფასებებს. მიღებული სამართლიანი ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონის მიხედვით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გამოყენებული მიდგომა და მონაცემები ადეკვატურად ასახავს აღნიშნული ქონებების სამართლიან საბაზრო ღირებულებას 31.12.2024 მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გორში არსებული მიწით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული გარანტიები.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი აქტივების შემენასთან დაკავშირებული ვალდებულებები	4,408	3,042
სადაზღვევო ზედამხედველობის მიმართ არსებული ვალდებულებები	478	328
არასადაზღვევო ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებები	342	180
ვალდებულება პოლისების მოზიდვიდან	236	583
დეპონირებული თანხები	150	-
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	30	36
სასამართლო დავებთან დაკავშირებული ანარიცხები	2	16
	5,646	4,185

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

20. სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების მოძრაობა:

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება		სულ
	წაგებიანი ხელშეკრულებების კომპონენტის გარეშე	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები	არაფინანსური რისკის კორექტირება	
31.12.2022	(132)	(5,985)	(341)	(6,458)
სადაზღვევო ამონაგები	35,193	-	-	35,193
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი				
მომხდარი ზარალები	-	(27,754)	(318)	(28,072)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	(2,849)	-	(2,849)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	(118)	290	172
საკურსო სხვაობის გავლენა	23	-	-	23
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	35,216	(30,721)	(28)	4,467
მიღებული სადაზღვევო პრემია	(35,003)	-	-	(35,003)
გადახდილი ზარალები	-	25,175	-	25,175
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა	-	2,802	-	2,802
31.12.2023	81	(8,729)	(369)	(9,017)
სადაზღვევო ამონაგები	50,165	-	-	50,165
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი				
მომხდარი ზარალები	-	(37,456)	(496)	(37,952)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	(3,545)	-	(3,545)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	(468)	337	(131)
საკურსო სხვაობის გავლენა	(91)	-	-	(91)
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	50,074	(41,469)	(159)	8,446
მიღებული სადაზღვევო პრემია	(50,969)	-	-	(50,969)
გადახდილი ზარალები	-	35,966	-	35,966
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა	-	3,489	-	3,489
31.12.2024	(814)	(10,743)	(528)	(12,085)

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

21. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივების და ვალდებულებების მოძრაობა.

	დარჩენილი გადაზღვევის პერიოდის აქტივი/ (ვალდებულება)	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი გადაზღვევის აქტივი/(ვალდებულება)		სულ
	წაგებიანი ხელშეკრულებების კომპენსაციის კომპონენტის გარეშე	დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებში გადამზღვევლის წილი	არაფინანსური რისკის კორექტირება	
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(959)	425	152	(382)
31.12.2022	(959)	425	152	(382)
გადაზღვევის ხარჯი	(2,099)	-	-	(2,099)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი				
გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში	-	1,029	39	1,068
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	45	(114)	(69)
საკურსო სხვაობის გავლენა	(45)	-	-	(45)
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(2,144)	1,074	(75)	(1,145)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	2,228	-	-	2,228
დაფარული გადამზღვევლის წილი	-	(995)	-	(995)
დამდგარ ზარალებში				
31.12.2023	(875)	504	77	(294)
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(875)	504	77	(294)
31.12.2023	(875)	504	77	(294)
გადაზღვევის ხარჯი	(7,691)	-	-	(7,691)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი				
გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში	-	1,808	6	1,814
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	135	(77)	58
საკურსო სხვაობის გავლენა	-	-	-	-
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(7,691)	1,943	(71)	(5,819)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	9,723	-	-	9,723
დაფარული გადამზღვევლის წილი	-	(2,023)	-	(2,023)
დამდგარ ზარალებში				
31.12.2024	1,157	424	6	1,587
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	1,469	424	6	1,899
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(312)	-	-	(312)

22. მიღებული სესხები

მოკლევადიანი	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	8.3% - 15%	32,956	28,969
არადაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	6%	736	663
		33,692	29,632
გრძელვადიანი	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	14%	1,685	-
		1,685	-

მიღებული სესხების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს უზრუნველყოფის გარეშე.

დაკავშირებული მხარეებისაგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2024 წლის დეკემბერში შეიცვალა და გაგრძელდა 1 და 2 წლის ვადით. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“-ის შესაბამისად, ვინაიდან ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა, კომპანიის მიერ მოხდა არსებული ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და აღიარდა ახალი ფინანსური ვალდებულება შეცვლილი პირობებით. არსებითი ცვლილების შედეგად წარმოშობილი სხვაობა დადისკონტირდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 10.65%-12.42%-ით დისკონტირების შედეგად მიღებული ეფექტი 1,348 ათასი ლარი ასახულია კაპიტალში და არა მოგება-ზარალში, რადგან ცვლილება უკავშირდება დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ დაფინანსებას და მისი ეკონომიკური არსი წარმოადგენს კაპიტალის შენატანს.

დაკავშირებული მხარეებისაგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2023 წლის დეკემბერში შეიცვალა და გაგრძელდა 1 წლის ვადით , შეფასების ცვლილების ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არის 1,159 ათასი ლარი.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	29,632	25,734
ფულადი ნაკადები	2,901	1,956
არაფულადი ნაკადები:		
წლის განმავლობაში დარიცხული ფინანსური ხარჯი	3,696	3,187
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი	(1,348)	(1,159)
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	496	(86)
31 დეკემბერი	35,377	29,632

შპს ჯგერ ინვესტიმენტს და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024		არამაკონტროლებელი წილი	2023	
	სხვა*	სულ		სხვა*	სულ
სადაზღვევო შემოსავალი	1,680	1,680	-	1,132	1,132
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	-	-	-	(1,225)	(1,225)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	-	-	(238)	92	(146)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(117)	(117)	-	(144)	(144)
ფინანსური ხარჯი	(4,112)	(4,112)		(3,122)	(3,122)
				2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:					
მოკლევადიანი შრომის ანაზღაურების ხარჯი				(1,233)	(1,020)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31.12.2024		31.12.2023	
	სხვა*	სულ	სხვა*	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(81)	(81)	287	287
სხვა ვალდებულებები	4,408	4,408	3,042	3,042
მიღებული სესხები	34,641	34,641	28,969	28,969

(*) – სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

24. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს მიმდინარე სასამართლო დავები, სადაც ჯგუფი წარმოდგენს მოპასუხე მხარეს. დავები დაკავშირებულია, როგორც სადაზღვევო ზარალების ანაზღაურების მოთხოვნასთან, სარჩელების თანხა ყველა არსებული სასამართლო დავისთვის ჯამურად წარმოდგენილია 309 ათასი ლარის (2023: 542 ათასი ლარი) ოდენობით. აღნიშნული პირობითი ვალდებულებებიდან 75 ათასი ლარის ვალდებულება (2023: 370 ათასი ლარი) გადაზღვეულია გადამზღვევლებთან. დავების უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობის შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მოელის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, რასთან დაკავშირებითაც 71 ათასი ლარის (2023: 380 ათასი ლარი) ოდენობის ზარალებთან დაკავშირებით ანარიცხი არის შექმნილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

სხვა პირობითი ვალდებულებები. ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული აქვს გარანტიები სს თიბისი ბანკისგან, რომელთა ღირებულება შეადგენს 1,717 ათას ლარს (2023: 1,054 ათას ლარი). ჯგუფს 2023 წელს მიღებული აქვს სს ნიუ ვიჟენისგან გარანტიები, რომელთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 859 ათას ლარს.

ჯგუფის მარაგით უზრუნველყოფილი სესხები. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მარაგები სრულად არის დაგირავებული დაკავშირებული მხარეების მიერ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების სასარგებლოდ. ჯგუფს რაიმე სახის ანარიცხი არ აქვს აღიარებული 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგებით სესხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აღებული პასუხისმგებლობის გამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან თვლის, რომ არ წარმოექმნება ამასთან დაკავშირებით რაიმე მატერიალური დანაკარგი.

საოპერაციო გარემო. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ამის შედეგად, საქართველოში წარმოებული ოპერაციები შესაძლოა დადგეს გარკვეული რისკების ქვეშ, რომლებიც, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ გაატარა რიგი სამოქალაქო, საგადასახადო, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის საერთო საინვესტიციო გარემოზე. დღეს, საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაცია. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი ბაზრის მომხრე ეკონომიკური პოლიტიკა, გადასახადების შეზღუდული რაოდენობა და შემცირებული საგადასახადო ტარიფები, მნიშვნელოვნად გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი უცხოურ ქვეყნებთან, მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობა, კარგად განვითარებული, ინტეგრირებული და მულტი მოდელური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განათლებული, გამოცდილი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა მყარი ნიადაგია საქართველოში წარმატებული ბიზნესისათვის.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებლის წერილი ფინანსირების შესახებ. 2025 წლის 30 სექტემბერს დათარიღებული დამფუძნებლის წერილის მიხედვით ფინანსირების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილ კომპანიებს შეექმნება საფრთხე ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო იქნება დამატებითი თანხების მობილიზება, დამფუძნებელი მზად არის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახადოს დამატებითი ფინანსური რესურსები, როგორიცაა: კაპიტალში შენატანი, სუბორდინირებული სესხის გაცემა და სხვა.

მიღებული სესხები - ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, დაკავშირებული მხარისგან მიიღო მოკლევადიანი სესხი 2,415 ათასი ლარის ოდენობით (889 ათასი აშშ დოლარი), რომლის საპროცენტო განაკვეთია 10%.

გაცემული სესხის დაბრუნება - საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, ჯგუფის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული 1,164 ათასი ლარის ოდენობის სესხი, სრულად დაიფარა.

სესხის გაცემა - ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, დაკავშირებულ მხარეზე გასცა მოკლევადიანი სესხი 3,638 ათასი ლარის ოდენობით (1,333 ათასი აშშ დოლარი), რომლის წლიური საპროცენტო ანაკვეთია 10%.

ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წელი

სარჩევი

1.	ჯგუფის დაარსების ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა.....	50
2.	მმართველობითი სტრუქტურა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები.....	51
3.	კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები	52
4.	საქმიანობის რისკების ანალიზი.....	52
5.	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური აქტივობა	53
6.	უსაფრთხოება და პირადი მონაცემების დაცვა.....	53
7.	ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	53
8.	კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა.....	53
9.	ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი.....	54
10.	მიზანი და მიღწევები	55
11.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	55

1. ჯგუფის დაარსების ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა

შპს ჯეო ინვესტმენტს (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2016 წლის 2 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის კაპიტალის 65.70% - იან მფლობელს და საბოლოო მაკონტროლებელ პირს წარმოადგენს ბ.ნ დავით ბეჟუაშვილი.

შპს ჯეო ინვესტმენტსის მთავარი საოპერაციო საქმიანობაა ინვესტიციების მართვა. შპს ჯეო დეველოპმენტის მთავარი საოპერაციო საქმიანობაა სამშენებლო პროექტების განხორციელება/მართვა.

შპს ჯეო დეველოპმენტსს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს მიწები. კომპანიას შემუშავებული აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მიწებზე იგეგმება საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობა, შემდგომი გაყიდვის მიზნით.

სს. „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2016 წლის 26 დეკემბერს, ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას.


სს. „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ აქტიურად უშვებს ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს. კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას: სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს გია ჭანტურიას ქუჩა N5-ში, ქალაქ თბილისში.

ჯგუფის მშობელი კომპანია - შპს ჯეო ინვესტმენტსი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკე - საბურთალოს რაიონი, 0160, პეკინის გამზ. 34 / ალ. ყაზბეგის გამზ. 2ა.

კომპანიის წილი შვილობილ კომპანიებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს ჯეო დეველოპმენტს	100%	100%
სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია	87.81%	87.81%

ჯგუფის შემოსავლების დინამიკა კვარტლების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.



გლობალ ბენეფიტს-ის კონკურენტული უპირატესობა მდგომარეობს, კლიენტებზე მორგებულ პროდუქტებზე. კომპანიის საქმიანობა მოიცავს ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევის, ავტო და ქონების დაზღვევის სახეობებს. აღსანიშნავია დაზღვევის სახეობა კრიტიკული დაავადებების დაზღვევის მიმართულებით, რაც ქართულ ბაზარზე უნიკალურ და ინოვაციურ პროდუქტად არის მიჩნეული და რომლის ფუძემდებელიც არის „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“.

გამოცდილი ანდერაიტერების, რისკების მენეჯერებისა და სექტორის ექსპერტებისგან დაკომპლექტებული ძლიერი გუნდი კომპანიის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

პროდუქტებისა და მომსახურების შექმნისას კომპანია ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით ხელმძღვანელობს, რადგან ორგანიზაციისა თუ პიროვნების რისკები უნიკალურია და სწორედ ამიტომ, მხოლოდ რისკების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ხდება კომპანიის საჭიროებებზე იდეალურად მისადაგებული სადაზღვევო გეგმის შექმნა.

ნებისმიერი სადაზღვევო პოლისის შექმნისას, მომხმარებელს რისკების მართვის პირადი მენეჯერი ემსახურება, რომელიც უწევს კონსულტაციას, ეხმარება სამედიცინო დაწესებულებებისა თუ სპეციალისტების შერჩევაში, უზრუნველყოფს წარმოქმნილი სამედიცინო ხარჯის დროულ ანაზღაურებას სადაზღვევო პროდუქტის დაფარვეთთან შესაბამისობაში.

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობისას მომხმარებელს აქვს თავისუფალი არჩევანი - ანუ არ არის შეზღუდული კონკრეტული პროვაიდერული სამედიცინო დაწესებულებით, მას შეუძლია მიმართოს სასურველ ლიცენზირებულ

დაწესებულებასა თუ სპეციალისტს და მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სწრაფად და მარტივად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციის ბაზარს ცვლის და ახალ წესებს ამკვიდრებს.

2. მმართველობითი სტრუქტურა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები

გლობლ ბენეფიციის უმაღლესი მმართველობის ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. ორგანიზაციის დაფუძნებიდან ორგანიზაციას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო იქმნება აქციონერთა გადაწყვეტილებით და შედგება სულ მცირე 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრისგან. საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერთა წინაშე.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

1. დავით ბეჟუაშვილი - თავმჯდომარე/წევრი
2. ნინა კობახიძე - თავმჯდომარის მოადგილე/წევრი
3. დავით ბეჟიაშვილი - დამოუკიდებელი წევრი
4. გიორგი ემირიძე - წევრი
5. თეა ბასიაშვილი - წევრი

რაც შეეხება კომპანიის ყოველდღიურ მართვას, ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორატი.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყავდა სამი დირექტორი:


1. გენერალური დირექტორი - კახაბერ ამალლობელი
2. გენერალური დირექტორის მოადგილე - ილია გოგიძე
3. სამედიცინო დირექტორი - ნინო ნოღაიძელი

გლობალ ბენეფიტს ჯორჯია-მ ფუნქციონირება დაიწყო 5 თანამშრომლით. კომპანიის საქმიანობის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობაც. სამივე დირექტორს ჩაბარებული აქვს შესაბამისი დარგები, რომლებსაც მართავენ და კოორდინირებას უწევენ აღმასრულებელი მენეჯერებისა და სხვა დასაქმებულების მეშვეობით.

2024 წლის 4 კვარტლის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 153 თანამშრომელი, საიდანაც 32 კაცი ხოლო 121 ქალი იყო. კომპანიაში დაცულია თანასწორუფლებიანობა, გენდერული მრავალფეროვნება და თანაბარი მოპყრობა ყველას მიმართ განურჩევლად ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა.

2024 წლის მდგომარეობით, კომპანიას ოფისები აქვს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და თელავში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა დაარსების დღიდან 31.12.2024-მდე.



კომპანიაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოთი. თანამშრომლებს აქვთ ყველანაირი რესურსი, რაც აუცილებელია მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად. ორგანიზაციაში შემუშავებულია მოტივაციის სხვადასხვა სახის სქემები, როგორც კარიერული წინსვლის ასევე ფულადი ფორმით. კომპანია თავის თანამშრომლებს საჩუქრად გადასცემს ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისს.

აღმასრულებელი მენეჯმენტი ჩართულია კომპანიის ყოველდღიურ მართვაში

დირექტორატის ქვედა რგოლს სამსახურის უფროსები წარმოადგენენ. ყველა მიმართულებას თავისი სამსახური აქვს, როგორებიცაა:

1. **გაყიდვების სამსახური** - დირექტორატისგან აქვთ მკაცრად განსაზღვრული გეგმები, რომლის შესრულებაც მათი მთავარი ამოცანაა.

2. **სამედიცინო სამსახური** - პასუხისმგებელია ზარალების დროულად, სწორად და ეფექტურად მართვაზე. პროვაიდერების, ოჯახის ექიმების და საავთიაქო ქსელებთან ურთიერთობაზე და თანამშრომლობაზე.
3. **არასამედიცინო სამსახური** - პასუხისმგებლობა ეკისრება არასამედიცინო ზარალების მართვაზე, რაც მოიცავს ზიანის შეფასებიდან მის დარეგულირებამდე ყველა პროცესს - როგორც შეიძლება იყოს ექსპერტიზა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაცია, კონსულტაციები და სხვა მრავალი.
4. **სამედიცინო დაზღვევის და გადაზღვევის სამსახური** - რისკის შეფასება, ფასის დადგენა და შემდგომ გადაზღვევა, ყველაფერი აღნიშნული სამსახურის პასუხისმგებლობაა, რაც კომპანიის, როგორც სადაზღვევო ორგანიზაციის, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.
5. **არასიცოცხლის დაზღვევისა და გადაზღვევის სამსახური** - მსგავსად სამედიცინო დაზღვევის და გადაზღვევის სამსახურისა, ყველა გასაცემი პოლისის რისკის შეფასება, ფასწარმოქმნა და გადაზღვევა მათი საქმიანობის არსს წარმოადგენს.
6. **ადმინისტრაციული სამსახური** - შესყიდვებთან, ლოგისტიკასთან და მომწოდებლებთან დაკავშირებული ყველა საკითხი ადმინისტრაციული სამსახურის მეშვეობით ხორციელდება.
7. **ადამიანური რესურსების მართვის სამსახური** - ვაკანსიის გამოცხადება, თანამშრომლის სამსახურში აყვანა და შემდგომ მათი განვითარებისა და მოტივაციის ამღლეების ხელშეწყობა წარმოადგენს აღნიშნული სამსახურის ფუნქცია მოვალეობებს.
8. **ბუღალტერია** - ვინაიდან ნებისმიერ სამსახურის ქმედება რიცხვებში აისახება, ამიტომ ყველაფერი თავს იყრის ბუღალტერიაში. შესაბამისად ბუღალტერია პასუხისმგებელია როგორც მათ აღრიცხვაში, ასევე გადარიცხვაზე.
9. **იურიდიული და AML სამსახური** - პასუხისმგებელია ორგანიზაციის მიმდინარე და ყოველდღიურ სამართლებრივ საკითხებზე, ასევე კურიერებს საქართველოს „კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“-ით დადგენილი პროცედურების დაცვას.
10. **დაზღვეულთა უფლებების დაცვისა და ხარისხის კონტროლის განყოფილება** - პასუხისმგებელია კომპანიის კეთილსინდისიერ და წარმატებულ ურთიერთობაზე მის დაზღვეულებთან, ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს მომხმარებელთა უფლებების დაცვას. კანონით დადგენილ ანგარიშებებს ყოველთვიურად წარუდგენს ზედამხედველობას.
11. **მარკეტინგის სამსახური** - პასუხისმგებელია მომხმარებელამდე მიიტანოს ინფორმაცია. როდესაც კომპანია აკეთებს გარკვეული ტიპის აქციას ან პრომოუშენს, ამ ყველაფრის შეფუთვა და მომხმარებელამდე მიტანა ხდება მარკეტინგის სამსახურის საშუალებით.

3. კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამსახურს წარმოადგენს AML სამსახური, რომელიც ექვემდებარება უშუალოდ დირექტორს, რაც იმთავითვე მიუთითებს აღნიშნული საკითხების მართვისა და რეგულირების მაღალ მენეჯერულ ინტერესზე.

სამსახური უზრუნველყოფს პრევენციას - მომსახურება არ გაუწიოს ისეთ ორგანიზაციასა თუ ფიზიკურ პირს, რომელიც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ახორციელებს, შესაბამისად, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი პროცედურების დაცვას. გასათვალისწინებელი, აღნიშნული პრევენციის ღონისძიებების ჩატარება დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე - [სავალდებულოა საქართველოს კანონით- „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“](#).

4. საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანიის საქმიანობის ძირითად რისკებს წარმოადგენს:

- ფინანსური რისკი არასათანადოდ შეფასებული სადაზღვევო პროდუქტისა და შესაბამისი მომსახურების ჭრილში (მაგ. იმაზე მაღალი რისკის ტვირთი, ვიდრე რელევანტურია და ა.შ.);
- რეპუტაციული რისკი;
- სამართლებრივი რისკი;
- ფულის გათეთრების ლეგალურ პლატფორმად ქცევის რისკი;
- და ა.შ.

ფინანსური რისკი არასათანადოდ შეფასებული სადაზღვევო პროდუქტისა და შესაბამისი მომსახურების ჭრილში - აღნიშნული რისკის მინიმიზაციას უზრუნველყოფს ორგანიზაციის ანდერაიტინგის სამსახურები. არასათანადოდ დათვლილი და აღებული რისკი ცალსახად გულისხმობს ფინანსურ რისკს.

რეპუტაციული რისკი - კომპანიის, როგორც რეგულირებადი ფინანსური ორგანიზაციის არამართლზომიერი ქმედება ავტომატურად გულისხმობს რეპუტაციულ რისკს. აღნიშნული რისკის პრევენციას უზრუნველყოფს კომპანიის ყველა თანამშრომელი;

სამართლებრივი რისკი - სამართლებრივად დაურეგულირებელი ან/და არასწორად დარეგულირებული საკითხი

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

(ლარში)

თავისთავად გულისხმობს როგორც ფინანსურ, ასევე რეპუტაციულ რისკს და შესაბამისად, მის პრევენციას უზრუნველყოფს კომპანიის იურიდიული სამსახური.

ფულის გათეთრების ლეგალურ პლატფორმად ქცევის რისკი - კანონით დადგენილი წესით, აღნიშნული რისკის პრევენციაზე პასუხისმგებელია კომპანიის AML სამსახური.

5. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური აქტივობა

სადაზღვევო კომპანია „ბენეფიტსი“, ისევე როგორც ჯგუფის სხვა კომპანიები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სოციალურ პროექტებში და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მომხმარებლებს სთავაზობს „მწვანე“ პროდუქტებს.

სადაზღვევო კომპანია „ბენეფიტსი“ აქტიურად არის ჩართული საყოველთაო კამპანიაში „სუფთა ჰაერისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კერძო სექტორის ჩართულობით ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას კონკრეტული აქტივობების განხორციელებით. სწორედ გლობალურ გამოწვევებზე საპასუხოდ ჩვენ შევიმუშავეთ ისეთი სადაზღვევო შეთავაზებები, რომელიც პირდაპირ მიმართულია გარემოს გაუმჯობესებისკენ.

საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითადი გამომწვევი მიზეზი არის ავტოტრანსპორტის გამოწვევით. სწორედ ამიტომ შეიქმნა ავტოდაზღვევის სპეციალური საცალო პროდუქტი უნიკალური პირობებითა და მინიმალურ ფასად. აღნიშნული შეთავაზება გავრცელდა ჰიბრიდის, ელექტრო და იმ ავტომობილების მფლობელებზე, რომლებმაც გაიარეს ტექნიკური ინსპექტირება და გრძნობენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის კუთხით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადაზღვევო კომპანია „ბენეფიტსი“ გაწევრიანებულია ასოციაციაში „ქალები მომავლისათვის“ და სპეციალურ პროგრამაში „ქალების როლის გაძლიერება ბიზნესში“ და ა.შ.

6. უსაფრთხოება და პირადი მონაცემების დაცვა

ჯგუფი ნულოვან ტოლერანტობას უცხადებს თაღლითობას და ტერორიზმს. ჩართულია ფულის გათეთრების წინაშე ანგარიშგებების მომზადებაში და შესაბამის ორგანოებთან კომუნიკაციაში. 2017 წლის ბოლოდან გაძლიერდა და 2018 წლის დასაწყისიდან ცალკე სამსახურებად ჩამოყალიბდა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT), იურიდიული და AML (ფულის გათეთრების საწინააღმდეგო) სამსახურები. რომლის მიზანია ყველა დაზღვეული პირის იდენტიფიცირება და პრობლემის აღმოფხვრის ან საექვო ვითარების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება.

ჯგუფში დაცულია მომხმარებლების უფლებები, პირადი ინფორმაცია როგორც მათი ფინანსური ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

7. ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს კომპანიამ გამოუშვა 1840 ცალი (თითო აქციის ღირებულება 1000 ლარი) პრივილეგირებული აქციები. საკუთარი აქციები კომპანიას 2024 და 2023 წლის განმავლობაში არ შეუძენია.

8. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

9. ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი

„გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლიკვიდობა (ცხრილი #1) ხასიათდება მზარდი ტენდენციით, რაც გადამწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს დაზღვევის პროდუქტების მომხმარებელთათვის სადაზღვევო კომპანიის შერჩევისას.

- **ლიკვიდურობის კოეფიციენტი= სულ აქტივები/სულ ვალდებულებები**

ცხრილი #1 (ათას ლარში)	2024	2023
ფული და ფულის ექვივალენტი	4,967	5,460
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	11,368	8,687
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	1,899	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,043	907
მიმდინარე აქტივები	19,277	15,054
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	12,085	9,017
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	312	294
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,039	1,125
საიჯარო ვალდებულებები	215	295
მიმდინარე ვალდებულებები	13,651	10,731
ლიკვიდურობა	1,41	1,40

შენიშვნა: ცხრილში არ არის გათვალისწინებული გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად ზოგი მუხლი არ იქნება ფინანსური ანგარიშგების მუხლებთან შესაბამისობაში.

- ზარალის კოეფიციენტი გვიჩვენებს სადაზღვევო ზარალებისა და ზარალებთან დაკავშირებული სხვა ხარჯების შეფარდებას სადაზღვევო ამონაგებთან. ზარალის კოეფიციენტი (ცხრილი #2), როგორც გადაზღვევის გათვალისწინებით, ასევე გადაზღვევის გათვალისწინების გარეშე შემცირებულია 2024 წელს 2023 წელთან შედარებით. ასევე, 2024 წელს ხარჯების კოეფიციენტიც შემცირებულია 2023 წელთან შედარებით.
- ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გარეშე - სადაზღვევო მომსახურების ხარჯი/ სადაზღვევო ამონაგები
- ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით - (სადაზღვევო ხარჯი+გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში)/ (სადაზღვევო ამონაგები+გადაზღვევის ხარჯი)
- ხარჯების კოეფიციენტი - სხვა საოპერაციო ხარჯები/სადაზღვევო ამონაგები

ცხრილი #2 (ათას ლარში)	2024	2023
სადაზღვევო ამონაგები	50,165	35,193
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(41,818)	(30,900)
გადაზღვევის ხარჯი	(7,691)	(2,099)
გადაზღვევის წილი მომხდარი ზარალები	1,814	1,068
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გარეშე	0.83	0.88
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით	0.94	0.90
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5,056)	(4,538)
ხარჯების კოეფიციენტი	0.10	0.13

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

10. მიზანი და მიღწევები

„გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ მიზნად ისახავს მომდევნო 3 წლის განმავლობაში, სადაზღვევო ბაზარზე დაიკავოს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია. მიზნის მიღწევა წარმოდგენილია ისეთი ჯანსაღი პორტფელის აშენებით როგორიცაა: კომპანიის საქმიანობით კმაყოფილი, ლოიალური და კომპანიის შესაძლებლობებში დარწმუნებული მომხმარებელი.

კომპანია ბენეფიტსის გუნდი რეგულარულად მუშაობს ახალი, ინოვაციური პროდუქტების შემუშავებაზე, რომელიც გამოირჩევა კონკურენტებისაგან. კომპანიის მენეჯმენტის მოკლევადიან გეგმებში შედის საოპერაციო საქმიანობის გაფართოება. იგეგმება კომპანიის მხრიდან ახალ და ჯერ კიდევ აუთვისებელ ბაზრებზე პენეტრაცია, ძირითადად საცალო, მცირე და საშუალო საწარმოების მიმართულებით.

ყოველივე ზემოთ ნახსენები წარმოადგენს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“-ს მიზანს დაარსების დღიდან. 2018 წელს კომპანიამ შეძლო წინა წელთან შედარებით მოზიდული პრემიის 3-ჯერ გაზრდა. ხოლო 2019 წელს, წინა წელთან შედარებით მოზიდული პრემია 20%-ით გაიზარდა. 2023 წელს, წინა წელთან შედარებით მოზიდული პრემია 99%-ით გაიზარდა. 2024 წელს წინა წელთან შედარებით 45%-იანი ზრდის კოეფიციენტით დაასრულა. 2025-წლის ბოლოს კომპანია ფორტფელის 65 მილიონამდე ზრდას გეგმავს რაც წინა წელთან შედარებით 12,4%-იან ზრდას მოიაზრებს.

მაღიან მოკლე პერიოდში შეძლო კომპანიამ საქართველოში საუკეთესო კლინიკების, სააფთიაქო ქსელების და პროფილაქტიკების დაპროვაიდერება, რისი საშუალებითაც კომპანიამ შეძლო მოზიდული პორტფელის სწორად და ეფექტურად მართვა.

11. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სადაზღვევო რისკების მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. ჯგუფის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

ჯგუფი რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე, გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. ანდერაიტინგის ფარგლებში ხდება პორტფელის მგრძნობელობის ანალიზი, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლისების ზარალიანობის მაჩვენებელი. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯგუფი ადგენს ანდერაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით.

ჯგუფის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე ფინანსური რისკი. ეს რისკები შემდეგია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
 1. სავალუტო რისკი
 2. საპროცენტო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, ჯგუფის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, ჯგუფი ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. ლიმიტების დაწესება ხდება თითოეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი საკრედიტო ისტორიების, სახეობების (ინდივიდუალური თუ იურიდიული პირები) გეოგრაფიული არეების, ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. „მაღალი რისკის“ მქონე მომხმარებლების დაჯგუფება ხდება ცალკე და მათთან შემდგომი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე.

შპს ჯეო ინვესტმენტს და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

(ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

- *საპროცენტო რისკი* საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.
- *სავალუტო რისკი* სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ დ.ბეჟუაშვილი

ბუღალტერი _____ მ.ბახტურიძე

მპს ჯგო ინვესტმენტს და შეიღობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

(ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

- საპროცენტო რისკი საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.
- სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



დ.ბეჟუაშვილი

ბუღალტერი



მ.ბახტურიძე